დადგენილება № 78/2020 – სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარში ცვლილების შეტანის შესახებ

დადგენილება № 78/2020
26 ნოემბერი, 2020 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის N 699 დადგენილების "იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N 322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის N 1127365 ბრძანების “2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციების, აკადემიური საბჭოს 2020 წლის 26 ნოემბრის სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი № 40),

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
   1.1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის **საშემსრულებლო ფაკულტეტზე** 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე დასრულდეს 13 დეკემბერს
   1.2. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის **საშემსრულებლო სპეციალობებზე** აკადემიური კალენდრით გათვალისწინებული მე-15 კვირას ჩასატარებელი მეცადინეობები საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე გადაიგეგმოს იმგვარად, რომ ჩატარდეს მე-13-მე-14 კვირების განმავლობაში დისტანციურად;
   1.3. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის **საშემსრულებლო ფაკულტეტზე,** სპეციალობის ბლოკში საგამოცდო პერიოდის ჩატარების ვადები საბაკალავრო, სამაგისტრო პროგრამებზე განისაზღვროს 2020 წლის 14-30 დეკემბრით;

1.4. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის **საშემსრულებლო ფაკულტეტზე,** თეორიულ-ისტორიულ და ჰუმანიტარულ დისციპლინებში საგამოცდო პერიოდი საბაკალავრო, სამაგისტრო პროგრამებზე დაიწყოს 2021 წლის 3 იანვრის შემდეგ;

1.5. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის **კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე** 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრული ვადებია უცვლელია

1.6. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის **კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე** 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის საგამოცდო პერიოდის ჩატარების ვადები საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე განისაზღვროს 2020 წლის 21-30 დეკემბრით;

1.7. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის **საშემსრულებლო და კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტებზე გადაბარების ვადად განისაზღვროს 2021 წლის 16-23 იანვარი**

2. დადგენილება გადაეგზავნოს სასწავლო დეპარტამენტს, საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანს, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, ორივე ფაკულტეტის მიმართულებათა ხელმძღვანელებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
3. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;
4. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე;
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე